
		სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ JSC „Energo-Pro Georgia“
გამოცემის თარიღი: Date of Issue: 24.03.23.	ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 24.03.23.	მოქმედების ვადა: Valid till:
დოკუმენტის ტიპი: Type of Document: ინსტრუქცია Instruction	რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი: Registration and file No.: EPC.INS2023002	
სათაური: Title:	სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სიმაღლეზე მუშაობის და მაღლივი სამუშაოების სამაშველო გეგმა Rescue plan for works at height and high-rise works of JSC „Energo-Pro Georgia“	
დამტკიცებულია: Approved by:	ხელმძღვანელის თანამდებობა: Position of Manager:	ხელმოწერა: Signature:
	დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე The Chairman of the Board of Directors	
სახელი, გვარი: Name:	გრიგოლ მამისეიშვილი Grigol Mamiseishvili	

1. შესავალი დებულებები

1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქცია მიზნად ისახავს სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ სამუშაო პროცესში სიმაღლეზე მუშაობის დროს მომხდარი ინციდენტის სამაშველო ღონისძიებების სწრაფად, უსაფრთხოდ და ეფექტურად ჩატარებას;

1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

ინსტრუქცია სავალდებულოა ყველა იმ თანამშრომლისთვის, რომლებიც მონაწილეობენ წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ პროცესებში.

2. ტერმინები, განსაზღვრებები და შემოკლებები

2.1. კომპანია - სს „ენერგო-პრო ჯორჯია“;

2.2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (იდს) - ტექნიკური და სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალურად, დასაქმებულებზე საფრთხის შემცველი ფაქტორების ზეგავლენის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად;

2.3. კოლექტიური დაცვის საშუალებები - ტექნიკური და საინჟინრო საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც კონსტრუქციულად და ფუნქციურად დაკავშირებულია საწარმოო გარემოსა და შრომის პროცესთან და განკუთვნილია საფრთხის შემცველი ფაქტორების თავიდან აცილებისათვის ან შემცირებისათვის;

2.4. სამაშველო გეგმა - სამუშაო პროცესში მომხდარი ინციდენტისას თანმიმდევრულად განსახორციელებელ სამაშველო ღონისძიებათა ნუსხა, რომლის მიზანია შეამციროს სამაშველო ღონისძიებათა განხორციელებისას დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზიანების რისკი და უზრუნველყოს სამაშველო ღონისძიებების სწრაფად, უსაფრთხოდ და ეფექტურად ჩატარება;

2.5. სიმაღლეზე მუშაობა - სამუშაოები, რომელთა შესრულებისას მომუშავე იმყოფება 2 მეტრზე ნაკლებ მანძილზე შემოუღობავ დონეებს შორის 1,3 მეტრი და მეტი სიმაღლისას. შემოღობვების მოწყობის შეუძლებლობისას სამუშაოები უნდა ჩატარდეს დამცავი ქამრების და დამზღვევი ბაგირების გამოყენებით (მათ შორის, ჭები, ღიობები, ნათხარი გრუნტები და ა.შ.);

2.6. მაღლივი სამუშაო - სამუშაო, რომელიც სრულდება 5 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მიწის, გადახურვის ან სამუშაო ნაფენის ზედაპირიდან უშუალოდ კონსტრუქციებზე ან მოწყობილობებზე მათი მონტაჟის ან შეკეთების დროს, მომუშავის ვარდნისაგან ძირითადი დამცავი საშუალების, დამცავი ქამრის გამოყენებით.

2.7. პოლისპასტი - მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე უძრავი და მოძრავი ბლოკის შეერთებას; იყენებენ ძალის ან სიჩქარის მოსაგებად ტვირთის აწევისას, გადაადგილებისას და სხვა;

3. სიმაღლეზე მუშაობის და მაღლივი სამუშაოების სამაშველო გეგმა.

3.1. საერთო მოთხოვნები.

3.1.1. დასაქმებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს დასაქმებულთა შესაბამისი სწავლება, სიმაღლეზე/მაღლივი სამუშაოების საჭიროებიდან გამომდინარე;
- დარწმუნდეს იმაში, რომ დასაქმებულები სამუშაოს შესრულებისას მოქმედებენ კანონმდებლობის შესაბამისად;
- დასაქმებული უზრუნველყოს სიმაღლეზე მუშაობისთვის შესაბამისი კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით;
- უზრუნველყოს კონტროლი კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებაზე;
- სამუშაოს დაწყებამდე ან/და დასაქმებულთა სამუშაოზე დაშვებამდე მოახდინოს საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება და მიიღოს შესაბამისი პრევენციული ზომები;
- შეაფასოს სამუშაო ადგილი და განსაზღვროს ვარდნის საშიშროება;
- შეაფასოს რა სახის კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული;
- შეაფასოს უშუალოდ სამუშაო პროცესი, რამდენად დაცულია სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებული საფრთხისგან.

3.1.2. დასაქმებული - სიმაღლეზე/მაღლივი სამუშაოს განმახორციელებელი პირი ვალდებულია:

- შეამოწმოს დამცავი საშუალებების ყველა ნაწილი (ღვედი, ჩამკეტი, ქამარი და ა.შ.);
- განკარგოს/გამოიყენოს ყველა ის აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება სიმაღლიდან ვარდნის თავიდან ასაცილებლად;
- შეატყობინოს ზედამხედველს სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საფრთხის შესახებ;
- მიმართოს ზედამხედველს სიმაღლიდან ვარდნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
- შეატყობინოს დასაქმებულს/შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს ნებისმიერი ინციდენტის შესახებ.


3.2 დაზარალებულის სიმაღლიდან დაშვება.

3.2.1. დაზარალებული იმყოფება დამზღვევ ბაგირზე;

- სამაშველო სამუშაოებში მონაწილეობს ორი ადამიანი;
- დაზარალებულთან მიახლოვება ხდება ზევიდან;
- დაზარალებული უგონოდაა ან ჭირდება დახმარება გადაადგილებისთვის;

სამაშველო სამუშაოების ჩატარების მიზნით შეძლებისდაგვარად ანკერი დაამაგრეთ დაზარალებულთან რაც შეიძლება ახლოს ვერტიკალურ სიბრტყეში.

მაშველი-2 უშვებს მაშველი-1-ს დაზარალებულთან ქვევით, ანკერზე დამაგრებული დამშვები მოწყობილობის გამოყენებით;



მაშველი-1
უახლოვდება
დაზარალებულს და
ამაგრებს
პოლისპასტის ბაგირს

2.




3.



მაშველი-1 ხსნის თოკს რომელზეც ეკიდა დაზარალებული.

მაშველი-2 უშვებს მაშველი-1-ს და დაზარალებულს ქვევით



3.3 დაზარალებულის პირველადი დახმარება

3.3.1 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოთხოვნით ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს“, ნომერზე - „112“;

3.3.2 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე, სიმაღლიდან ჩამოყვანილ დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება უნდა ჩაუტარდეს „INS2010001 - საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების პირველადი დახმარების ჩატარების ინსტრუქციის“ შესაბამისად.